ეშმაკი

№ 3. იუმორისტ. ჟურნალი

1914

გურიაში დახოცილი **დევნილები**, **რომლებიც** **რისხვათ ევლინებოდნენ ქურდ-ბაცაცებს.**

კიკია (იასონ) **მამულაიშვილი** **და** მისი **ამხანაგი** **დათიკო** **შავარდნაძე.**

კიკია მამულაიშვილის წერილი*)

არც შთამომავლობით, არც აღზრდით და არც სხვა რაიმე შინაური გარემოებით მე ყაჩაღი არ ვყოფილვარ. არც მომწონდა ყაჩაღობა, მაგრამ ცხოვრების პირობებმა ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა, რომ იძულებული გავხდი ხელში თოფი ამეღო და ჩამოვშორებოდი მ'შვიდობიან ცხოვრებას. რადგან ყოველი ის, ანორმალური მოქმედებანი, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია ზოგიერთა

*) ეს წერილი დაიბეჭდა „ბათუმის გაზეთში“ მამულაიშვილის სიკვდილის შემდეგ. ვბეჭდავთ ავტორის ბოლო-სიტყვაობის თანახმათ, ხოლო შემოკლებით.

„მათრახის“ რედაქცია.

ყაჩაღების ცხოვრებასთან, ჩემი ბუნების წინააღმდეგი იყო, და დღესაც არის. მე დავეძებდი ისეთ ამხანაგს, რომელიც ყაჩაღი კიარა, მხოლოდ დევნილი**) ყოფილიყო იმ პირობებთაგან, რომელთა წყალობით ის ამ არა სასიამოვნო გზას დაადგა, ასეთ ადამიანად მე პირველად გავიცანი დათიკო შავარდნაძე, რომლის ბუნება ყოველივე ცარცვა-გლეჯის, სისხლის ღვრის და სხვა ბოროტ მოქედების წინააღმდეგი იყო. დათიკო კარგი ვაჟკაცი, შეგნებული და კარგი მწიგნიბარიც იყო. მეც მას დავუახოვდი, დავუკავშირდი და გავაწყვე მასთან მეგობრული ცხოვრება. დრო გამოშვებით თუ მოვშორდებოდი და ისიც ერთის ან ორის დღით, თორემ სულ ერთად ვიყავით, ერთი მეორეს ჭირვარამს შუა ვიყოფდით, ჩემი გაჭირება მისი გაჭირება იყო და მისი კი ჩემი. არა ერთხელ და ორხელ დავდევნებივართ წვრილ ქურდებსა და სხვა ბოროტ მოქმედთ და არა ერთხელ ჩაგვიყენებია ეს, მშვიდობიან ხალხის შემავიწროებელნი ცუდ მდგომარეობაში. არა ერთი და ორი ღამე გაგვითენებია ერთად ხის ძირში როცა სხვაგან შეჩერების საშუალებას მოკლებულნი ვიყავით და არა ერთი და ორი დღე დაგვიღამებია ტყბილს, მეგობრულს, გულახდილ მასლაათში. ერთი სიტყვით, დათიკო ჩემი კარგი მეგობარი იყო და ძლიერ კარგადაც ვიცნობდი მას. არა ერთხელ დამიფქრევია მდუღარე ცრემლები მის საფლავზე, რომელიც ჩემთვის დღესაც დიდ განძს შეადგენს. დათიკოს სიკვდილმა თავზარი დამცა და ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა, რომ თავი შემაძულა. გავიგე თუ არა დათიკოს სიკვდილი (იმ დღეს მე მასთან არ ვიყავი) მაშინვე ჩემს თავს ფიცი მივეცი, რაც უნდა ძვირათ დამჯდომოდა მისი გამცემის პასუხის გამეცა, მაგრამ, რადგან სოფელში ჭორიკანობას დიდი ალაგი უპირავს, მე გადაწყვიტე წინ და წინ, ყველაფერი დაწვრილებით გამეგო რომ შეცდომაში არ შევსულიყავი, და შემდეგ კი იჩემი განაჩენი სისრულეში მომეყვანა. დათიკოს სიკვდილის მესამე დღესვე გავრცელდა ხმა, რომ ის მოწამლული იყო ასკანაში ჭელიძისას და ვითომც იმავე ჭელიძის ოჯახმა აცნობა ასკანაში მყოფ ბოქაულს შავარდნაძის იქ ყოფნა და მოაწყო გზაზედ თავდასხმა. თითქოს დათიკოს იქ ყოფნის გაგებისათანავე ბოქაულიც გაეშურა სამი ჩაფრებით, შეხვდა გზაზედ დათიკოს და მოჰკლა. ეს ამბავი ისეთ პატიოსან ოჯახს მიაწერეს, რომ მე იმ წამში ეჭვი დამებადა მის სიმართლეში. დანარჩენ ამხანაგებთან ერთად შეუდექი საქმის გამოკვლევას. შევაგროვე ყოველივე საჭირო ცნობები და აღმოჩნდა შემდეგი: როგორც მოგეხსენებათ, დევნილთა ცხოვრება ძლიერ ერთფეროვანი, არა-სასიამოვნო და მეტად მოსაწყენია. გდევნიან, გარბიხარ, დაგეძებენ, იმალები, ყოველთვის შიში, სიფრთხილე და სხვა ამფერი. ჩამოშორებული ხარ ცხოვრებას, ისიც თან და თან გიღლეტს გულიდან და რაღაც ძალად აჭკვიატებიხარ მას. ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, თუ გინდათ რკინის კაციც იყოს იგი, ხშირად სასოწარკვეთილებას ეძლევა, მოწყენილობის მონად ხდება და ზოგიერთ შემთხვევებში დარდის გასაქარვებლად ღვინოს მიმათავს ხოლმე. ასე მოუვიდა დათიკოსაც. მას მოკვლის წინა ღამით, ზედმეტი ღვინო დაელია, დამთვრალი ასკანაში წამოსულიყო მარტოკა. ასკანაში გამოეველო მ. ჭელიძისას. მთვრალი კაცის ჩვეულებრისამებრ, იქ არაყი და ღვინო მოეთხოვა. მასპინძელი თავის სურვილის წინააღმდეგ იძულებული გამხდარიყო მოერთმია. დათიკოსაც მიჰყო ხელი სმას, არაყის შემდეგ კარგი ძალი ღვინო ესვა და გამთენიოს ბარბაც-ბარბაცით თავის გზას გასდგომოდა. გზაზედ ერთი კაცისას კიდევ დაეძახა, არაყი მოეთხოვა და სახლის პატრონთან ერთად მთელი ბოთლი არაყი დაეცალა. ადვილი წარმოსადგენია, რა რიგ მთვრალი იქნებოდა შავარდნაძე ამდენის ღვინის და არაყის სმის შემდეგ. მნახველებმა გადმოგვცეს, სიმთვრალის გამო ფეხზედ ველარ დგებოდა თურმე და ზოგიერთი ნივთები ვილაც პატარა ბავშისთვის გადაეცა წამოსაღებათ. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს შემთხვევით გზაზედ შეხვდა ბოქაული სამი ჩაფრებით, რომელიც ფულების მოსაბოჭად იყო გამოგზავნილი ასკანის საზოგადოებაში და იმ დილით მოვალეობის ასასრულებლად სოფელში მიდიოდა. იმათ დათიკო იცნეს, თუ რა მდგომარეობაში იყო ის, აუტეხეს სროლა და კიდეც მოჰკლეს. აი ასეთია დათიკოს მოკვლის მიუდგომელი მოკლე ისტორია.

ეხლა გადავიდეთ იმაზედ, თუ რა მოჰყვა დათიკოს მოკვლას.

კიკია მამულაიშვილი.

(დასასრული იქნება)

**) გურიაში ყაჩაღსა და დევნილს შორის დიდი გარჩევაა. როცა სიტყვას „ყაჩაღს“ ხმარობენ, მაშინ გულისხმობენ ცარცვა გლეჯის მიმდევარს, და როცა „დევნილს“ მაშინ კი წინააღმდეგს.

გლეხის ჩივილი

ვშრომობ, ვწვალობ, ვიტანჯები,
მაინც მე თავს ვერას ვშველი,
ამდენი სხვის სამსახური
მოვკვდი, რა ვქნა, ვერ შევძელი
შემომყურებს: ღვ[illegible]ელი, ერი,
მამასახლის, ნაცვალ-გზირი,
რომელი ერთი ვარჩინო
ამას მოვსთქვამ, ამას ვსტირი!
ჩემს ნაშრომზედ სხვა მოილხენს,
დროს ატარებ[illegible] სი[illegible]არულში,
მე კი მისი მარჩენალი,
ვცურავ ოფლის ნაკადულში,
შემომტირის ცოლი, შვილი,
ლუკმა პური მ ნატრება,
სხვისი ყოფილა ამ ქვეყნად
სიცოცხლე და ნეტარება!
მერე ასე როდემდისინ,
ვეგდო უხმოდ როგორც ლეში,
ნუ თუ ლხენას ვერა ვნახავ,
ამ ჩემ მოკლე სიცოცხლეში!?

გოგია.

პატარა ფელეტონი

ვიზიტები შორიდან.

1.

მომწყინდა მუდამ ქვითინი, ოხვრა და გმინვა მწარია;
გულს სევდა მიღრღნის, თვალთაგან გადმომდის ცრემლთა ღვარია.
ვსთქვი—მოდი ერთი წავიდე, ვიარო მთა და ბარია,
იქნებ შევსცვალო ერთბაშად ცხოვრება განამწარია.
და...გადვიყარე სევდები—სული და გულის მწველია,—
გადავივიწყე დროებით ყოველი განსაცდელია...
ზურგზედ ნაბადი მოვისხი, სტვირს წამოვავლე ხელია
და გურულ კრიმანჭულისთვის ამოვიწმინდე ყელია.
შემოვიარე სამშობლო, დიდი ხნის უნახავია,—
ვნახე რაჭა და ლეჩხუმი, ხევსურეთი და ფშავია;
გურიას ვიყავ, იმერეთს, მთები გადაველ შავია
და კახეთიდან პირდაპირ ქართლში ამოვყავ თავია.

—

„მამულიშვილებს“ ვეწვიე, ჩამოვიარე გმირები,—
ვიხილე ყველა ერთობით, თბილ ადგილს შეკრებილები...
რა დამინახეს—განრისხდენ, გააკრაჭუნეს კბილები,
ზოგმა კვანტებიც მესროლა, ვით ალავიძის ყირები.
ვნახე, რომ „სიტყვა“ სტიროდა, თავზედ ეყარა გვანია,
ვსთქეი—ამ მამულის მოსარჩლეს პირიც ვერ დაუბანია!..
ის იჯდა შვა-გულ ნაცარში, გარშემო ერტყენ სხვანია,
და გულ-ამოსკვნით მოსთქვამდენ, ისმოდა გლოვის ხმანია...
ჯაჯანაშვილი არჩილი სიცრუის გუდას ბერავდა,
პასუხს აძლევდა „შორეულს“, ქორიკანობას სწერავდა...
წვერ წატეხილი კალამით ის თავის ბანაკს ზვერავდა
და ქედს უხრიდა სიყალბეს, სიმართლეს ფეხ-ქვეშ სთელავდა...

—

და გამოვედი აქედან, „თემს“ მივადექი კარზედა;
ვიხილე დიასამიძე ხელშამოდგმული თავზედა...
ეძინებოდა საბრალოს, პასუხს არ მცემდა ხმაზედა,
ბევრი ვეფერე, ვაღვიძე, ვერ მოვიყვანე ჭკვაზედა.
იქავე ვნახე მჯდომარე რენეგატ-გომართელია;
რომ დამინახა, განცვიფრდა, მყის შეეცვალა ფერია.
ვკითხე—რა გითქვამს, ვანოჯან, რა წიგნი დაგიწერია?
რად იმათრახებ თავის თავს, რატომ ხარ თავის მტერია?..
მან მიპასუხა:—„მე მიყვარს სიმართლის წინდამ მონება“...
მეტი კი აღარ ვაცალე სხვა რამის გამოგონება;
„მამულიშვილებს“ ვუკურთხე იმისი ჭკვა და გონება
და მყის მოვკურცხლე აქედან, არ მიყვარს ხანდაყონება.

—

„ზაკავკასკაია რეჩში“-კი ძალად შევაღე კარები,
იქ დამხვდა პართენ გოთუა, სხვისი არ მახსოვს გვარები...
ჩაფიქრებული, მრისხანე ის იჯდა განამწარები,—
„პოგრომს“ აწყობდა, მგონია, მზად ჰქონდა ყველა პლანები...
ამბობდა:—„ჩვენაც ხალხნი ვართ, ჩვენცა გვყავს მარჯვე შვილები...
ნაკაშიძე და დუმბაძე—რუსეთს ვუძღვენით გმირები.
ის არის ჩვენი დიდება, ჩვენშივე გამოზრდილები—
მათ ვანაცვალებ ყველაფერს და მსხვერპლათ შევწირები“.

—

გრიგოლ ყიფშიძეს ჩემზედ წინ იმ დღეს არავინ სწვევია,—
მას ვკითხე—ძვირფას ოქროში თუჯი რად გაგირევია?
ისიც დასელის ბრალია, გონება რომ შეგრყევია?
მარა ეტყობა კოქებში მასალა გამოლევია...

—

კახეთში კოტე ტყავაძეს სიზმარი ესიზმრებოდა—
ხედავდა—ქვეყნის სახსნელად ძლიერი რაზმი დგებოდა...
„მამულაშვილთა“ არმიას „ნარიძე“ წინ უძღვებოდა
და ყველა ჯგუფთა თანხმობით საერთო საქმე წყდებოდა.

—

რა დავიარე თბილისის „პატრიოტების“ ჯარია,
ქუთაისისკენ გავყევი, გზა და გზა არ მიჩქარია...
იქაც მიმიღეს ,,გმირებმა‘‘, ერთმაც ვერ მითხრა ვარია.
თუმცა, ხომ „იკი“, მკითხველო, არც ერთსაც არ უხარია!..
იქაც ვიხილე პირისპირ „მამულიშვილთა“ კრებული.
ვნახე—კიტა და გიორგი შავი ქვით მირონცხებული;
დავით. ვასო და სილოვან, „ერშიგან‘ განწესებული
ღრმა აზროვნებას წაეღოთ და იყვენ ჩაფიქრებული...
ვკითხე: რა მოგდით, „გმირებო“, რატომ გიცვლიათ ფერია?
თქვენს საღმერთებელ ვარლამზედ „იგი“ ვის დაუწერია!..
გლეხებს თუ ტყავი გააძრო,—ეს დიდი არაფერა....
ან-კი „ყაძახის“ ნათქვამი აბა, რა დასაჯერია!...
და ეს დაცინვა, შევატყვე, გულს მოხვდა ერთობ ყველასო;
ურომ რაღაცა მალულად ანიშნა „კვირიკელასო“.

ვიფიქრე—ვაი ბაბუას—აქ კი წავაწყდი ბელასო
და გავიქეცი იქიდან, ხელი აღვაღე მღერასო.

—

თუმცა გურია მენახა უნდა სულყველას წინაზე,
მარა არ ვქენი მე აგი ვიღაც-ვიღაცას ჯინაზე.
ოზურგეთს ღამით ავედი, ჩუმათ ჩამოვხტი ბინაზე,
არვის ვაცნობე იქ ყოფნა, ახლოს კი ვიყავ შინაზე.
გული მიცემდა საშინლად შიშით დავკარგე ფერია;
ვფიქრობდი—ვაი, თუ მნახეს, მომხდება ზურგზედ ჭერია.
იქ მემდურიან ქალები, ყველანი ჩემი მტერია,
რადგან იმათი „დიდება“ არ ერთხელ დამწერია...
მარა ვერაფერს ვერ გავხთი, მაინც მიმიხთენ მტერები;
იმავე ღამეს გაიგეს და მომიყენეს მცველები...
სატეკებელად მოეწყვენ, გაახაზირეს ხელები
და ცოტა აკლდა, კინაღამ ამომიზილეს წელები...
ძლივს გავექეცი იმ ოხრებს უცემი, უვნებელია,
ძველი ბინისკენ გავსწიე, ვიარე ზღვა და ხმელია.
ძლიერ დავღონდი მგზავრობით, ძალ ღონე გამომელია
და კრიმაპულიც არ ძალმიძს ისე, გამიხმა ყელია...

მ. ცხვირაძე.

ჩემს ვარდს.

მისთვის სულაც არ მომწონხარ,
რომ ტურფა ხარ მშვენიერი,
არც მისთვის, რომ ყველა გეტრფის
(თუმცა ბევრიცა გყავს მტერი).
არც მისთვის, რომ ვერსად ვნახო
შენი ტოლი, შენი ცალი,
არც მისთვის, რომ ხშირად ვხედავ
ბევრსა რჩება შენზედ თვალი;
და იმისთვის კი სულ არა,—
რომ მწამს შენი მომავალი;
მხოლოთ მისთვის, რადგანც მჯერა—
ხარ უმანკო,—დაუმზრალი.

მოსე.

მიზეზი კი ცოლია

ჩვენს მხარეში იცით თუ რამ ტოლია?
რომ ოჯახის ჩირქის მცხობი ცოლია;
დამერწმუნეთ ვფიცავ ქვეყნის გამჩენსა,
ამისთანა ცოლი ბევრსა ჰყოლია.

ვაჟი-კაცი რაგინდ იყოს მომგები,
ავ-კარგისა გამრჩევი და გამგები;
სიპი ქვაზედ სახლ-კარისა ამგები,
თუ ცოლი ჰყავს ბოროტ მახის დამგები...
რომ ქვეყანად არა ჰყავდეს ტოლია,
ამ გვარ კაცის წამხდენელი ცოლია.

ქმრების სულთა-მხუთავი.

ერთი სიტყვით კაცი ნამუსიანი,
ოჯახისთვის მხნე ერთგული ფხიანი;
მეტის-მეტი მეცნიერი ჭკვიანი,
თუ ცოლი ჰყავს მასაც ღალატიანი...
თუმცა მეტად ნამუსის მიმყოლია,
ამის გზისაც გადამცდენი ცოლია.

ნაქები და კაცი მეტად მდიდარი,
ქვეყნად იყოს გავარდნილი მის გვარი;
ოჯახისთვის ერთგული ამაგდარი,
ცოლის ქცევით თუკი გული აქვს მკვდარი...
თუ გაიგო სხვისა გვერდით მწოლია,
ქმრის წახდენის მიზეზი თვით ცოლია.

რა გინდ იყოს კაცი მეტად ამაყი,
ვერ დასძლევდეს იმას მდევი ბაყბაყი;
მოსპობილი ჰქონდეს ღვინო ყარაყი,
ცოლის ქცევამ გადიყვანოს მალაყი...
მით შეიქმნეს სასმელის მიმყოლია,
იმას ნიშნავს რომ მიზეზი ცოლია.

კაცი გმირი, ულალავი აფთარი,
ვერ სდრეკავდეს იმას ყინვა ზამთარი;
და თუ ცოლმა აურია დავთარი,
იგი მაშინ სასიკვდილოთ მზათ არი.
ველარ იტანს გულს ბოღმა მოსწოლია,
ეს იმისთვის რომ მიზეზი ცოლია.

ზოგი ერთას თუმცა კი ეწყინება,
ამის გამოთ გულში შეიგინება;
ღმერთო მიეც მცირედი მოთმინება,
და როდესაც ცრემლი დაედინება.
მასაც ხვდება ჩემისთანის როლია,
მაშინ იგრძნობს რომ მიზეზი ცოლია.

ან. განჯის-კარელი.



რალაც ოხერი ფოთია, მუდამ ჩხუბი და შფოთია!..

ელევატორის საკითხმა
სახე მიიღო მწყრალია,
ნათელ აზრს, წინ გადაუდგა
ძველი შავ-ბნელი ძალია.
„ბურგომისტრისა“ აზრები
და მისი სამართალია
აღარა მიდის ექსტრენათ,
დარჩა საჭირო ხმალია...

ნიკოს აზრსა და ,,პროექტსა,,
ბევრი აღუდგა წინაო,
ორათ გაიყო ხმოსნები
შეირყა ნიკოს ბინაო,

ზურგი აქციეს მის ზრახვას
და გაიცხუნეს შინაო.
,,სოლომა'' ხმალი გალესა
ქუჩაში გაფრინაო.

და შეუძახა ,,უტუს ჯარს''
,,აბა გამოდით კარშია''
ხომ ხედავთ რა გვემართება
სისხლმა ამხეთქა თავშია.
მოდით ვებძოლოთ გმირულათ
თუ გაქვენ ძალა მკლავშია.
რას უბედავენ ნიკოსა
კაცი ჩააგდეს ჯავრშია,

მაგი ქე წავა ექედან
და ჩვენ ჩავცივით წყალშია''...

—

მოაწია სხდომის ვადამ
აირია მთა და ბარი,
გამოვიდა საბრძოლველად
უტუს გროვა, უტუს ჯარი,
სარდლათ ჯარსა აერჩია
გვიჩია და მისი **ჯარი**
მეორე მხრით მებრძოლ რაზმსა
დაუმშვენა **თედომ** მხარი...

—

სხდომა გაიხსნა, დაბრძანდენ
ხმოსნები მირონ ცხებული,
ჭოჭუა შვაში ჩამჯდარა
იყვედრის განრისხებული:
,,ხომ ხედავთ რას გვიბედავენ
ნიკო გამოდის ძლეული,
ეს ყველა მიხას ბრალია
მაგია გადარეული''.
ამ სიტყვის გაგონებაზე
შეიქნა ბრძოლა საზარი,
სარდლები გაიძახიან:
„აბა ვინა ხართ მედგარი,
ეკვეთეთ მიხას პარტიას
გაუპეთ გულის ფიცარი,
დასწყვიტეთ, და ან განდევნეთ
იმისი მომხრე ვინც არი....''
,,უტუს ჯარმა'' გაიმარჯვა,
სოლომონმა თავს უშველა,
ნიკოს ლაქია-ხმოსნები
დაიქსაქსა ერთობ ყველა...
ამ გვარად საქმე მოგვარდა,
ერთი სხდომა ჩაიშალა,
(თურმე ამას მოქმედებდა
ძველი ნიკოს ბნელიძალა?)

ხვლიკი.

გურული სცენა

ერმილე და ჯარისპან.

ერ. გამარჯობა ჯარისპან, რუაა საქმიები?

ჯარ. რა გითხრა ძმავ, ანტონის არ იყოს ქვეყანა აროხვილია, ვდემოკრატობდი და ჩვენ სჯულზედ თავიც მომწონდა, ,,წელში გამარული ვიარებოდი. გამოვიარე აფთიექის წინ, ჩამოსულა ჩვენი ბეჟანი, შუუყრია ვინცხა ვინცხაიზა თავი, და მოჭყოლია: დემოკრატობა ძაან სირცხვილია, ქართველი თუ ხარ ფედერაცია უნდა იყოვო. დემოკრატებმა ჩვენს ქართველს დეპუტატს ბრალი დასწამეს, გაზეთში ჩუუწერეს, ეხლა ჩამწერელი ცერელოვი პასუხის გებაში უნდა მივცევო.

ერ. უი კაცო, აი ბეჟანი რაღა მოხელეა?

ჯარ. არ იცი კაცო ფინკოვი რომ იყო? ერთ სტაქან ღვინოს რომ დაალევიებდი, იმისთანა ქაღალდს შეადგენდა რომ მტყუანს გაამართლებდა და მართალს საკატორღოთ გაგიხდიდა საქმეს.

ერ. მაგას თავი დავანებოთ, წუხელის ჩვენი ხელოსნების კრებაზედ თუ იყავი?

ჯარ.— ვიყავი, როგორ არა.

ერ.—რა ამაბავი იყო თუ ძმა ხარ, რა უთხრეს ჩვენს ძველს გამგეობას?

ჯარ. —ხომ იცი ძმაო, ზოგიერთი ჩვენი ენა მოქლიბული ხალხი რომ არის. დუუწყეს კრიტიკა საქმე კარგად გაგიკეთებია, მაგრამ რაცხაზე ხელის მოწერა დაგვიწყებიაო. მაკვირებს ზოგიერთი ნასტავლი კაცის საქმე, თუ რამეში დაასახელე, მოგიყობა; ქვეყნის საქმეს ჩვენ ვაკეთებთ თქვენდა სადღა გვცალიავო. პაწაი ჩვენმა ბოქაულმაც გაგვიწყრა ყველაფერი თუ არ იცით რას დგებით, ვინცხა სხვა დადგებავო.

ერ.—მერე რა ქენით?

ჯარ.—რა ვქენით და ყველას არც ჩვენ ჩავფრენივართ კალთაში, გუურიეთ შიგ ჩვენი ხელოსნებიც და ქე წამოვედით შინ.

ერ.— მეტი არაფელი ყოფილა?

ჯარ.—დასურ კიდევ რა გითხრა, გევიხედე აგერ სტოლის თავში, ვინცხას ამოუღია დიდი კნიჭკა და რაცხას იწერს. ვიკითხე, ეს კაცი რაღას შობა მეთქინ! ეს გაზეთ „ერის“ მწერალიაო, ჩვენი ამბვები იქ უნდა ჩასწეროსო.

ერ.—ხო, ხო კი ვიცი, აქ ახალ ჩამოსულია, თავადების დეპუტატს რომ დასდევდა კუდში ამ ჩვენ ბანკზედ თუ რამეს დასწერს, თვარა მისი და პეტერბუგელი ფედკას სანაქებო დეპუტატი ქე შეურცხვათ.

ჯარ.—მგონი ჩვენს გრიგოლსაც გუუარა მისი იქით-აქეთ სირბილი და შეხვედრა.

ერ.—რომელ გრიგოლს კაცო?

ჯარ.—ჩვენი ვასილის ტელოხრანიტელი რომაა.

ერ.—ყოლიფერი შენ რაფერ უნდა თქვა, როის ნახე ვასილისას ან სადილზედ ან ვახშამზედ, ან სკლადიდგან სახში რომ მიაპრავაჟებდა?...

ჯარ.—მე არ მინახავს, მაგრამ ქვეყანა ასე ამბობს.

ერ.—ქვეყნის ნალაპარაკევი სხომის როის იყო მართალი ეხლა რომ იქნება?!

ჯარ.—კაი ძმავ, მშვიდობით! ვინცხა გაზეთში ჩაგვწერს, ქვეყნის ამბავს ლაპარაკობენო.

ქაჯი პეტრე.

მესტვირული

დღეს უქმე არის კვირეა,
კანონ-წესად გვაქვს დებული
და მსურს ზოგ ნაცნობს ვესტუმრო,
გუდა-სტვირ აკიდებული.

ავლაბრის ქართულ წიგნ-საცავს,
უნდა მივაპყრა ყურია,
იქ მოვიპოვებ მე ვისიც
ესოდენ ნახვა მწყურია.

ვნახავ —მზრუნველი წრისა წევრთ
ჯაჭვაძე, ნაცვალოვასა.
ტკბილ-მწარე ნარევ ლიდინით
მათ მივაყენებ გლოვასა.

ვეტყვი: ეს ენა წყეული
შუდამ სინებს ავათა
და საიდუმლო საქმეებს
ამჟღავნებს გულსაკლავათა.

თქმა არ მინდოდა, მაინც ვთქვი,
მე თქვენი ნაცოდვილევი,
გავტყდი, მოვტყუვდი, რა ვუყო,
შევცდი და გავამხილევი.

ვთქვი თუ არჩევა იმათი
მოხდა ჭანდრაკულ-ხრიკობით
ძმა-ბიჭურ ყაიდ-ყომაღით
დარაზმულ-დაწყობილობით.

და მით დამარცხდა კამანდა,
ბასილაშვილის ჯარია,
(ორთავემ ერთათ, თუმც პირველ
ყოფილ წრეს ხელი დარია)

—

და ისიც კი ვსთქვი: ჯაჭვაძე
ურტყამს მუქარის უროსა,
უნდა ვიღაცა დატოროს,
გვერდები გაუხუროსა.

სამი ქანქარიც მიართვას
(ალბათ საწამლო ფულია?
დახეთ განზრახვას იმისას
რა რიგი ეშმაკურია).

—

ნაცვალოვზედაც ესა ვსთქვი:
რომ მიკვირს მისი ქცევანი,
კილო ბრძანების სიტყვების
და ცხვირის მაღლა წევანი!
მართებს იცოდეს ყოველგან
მოპყრობა თავაზიანი,
დაიბადება ცვალობა
და მიადგება ზიანი.

—

და წევრებზედან რაც მითქვამს
აქვე მოვიყვან სწორათა,
გუშინ თუ ერთად ვიდოდენ
დღეს რათ გაიყვენ ორათა?

ავყვე სხვის თითის ჩვენებას
და მით ვეძიო ფონია!?

ამგვარათ საქმის კეთება
დიდი სირცხვილი მგონია.

რასა ვიქმოდე ვიცოდე,
მე გონი მინდა ამათა,
შორით შევხედო სანახავს
და არ მოვიქცე ხამათა.

ასეც ამბობენ, ისედაც,
მიკვირს მათ ენის ბრუნება,
რაზედ მოზიდეს შვილდები
თუ არვინ დაიწუნება?

—

ვცურაობ საკონებელში
ბაშ რაა თუ ეს არაა,
მე ვით გავიგო მათ თქმული,
რომ მათთვის გამოცანაა?!

და მათ რო გავკრა მათრახ
ზოგს თითო, ზოგსა ორია,
დანაშაულსა ჩავიდენ?
არ არის გასაჯორია?

ცეცხლის ლახტი.

ოარი სურათი.

როდესაც ვისმენ გლოვის ხმებს ძმისას,
კვნესა-გოდებას ჩემს მეზობლისას,
ტირილს, ვაებას, ქვეყნად ობლისას,
უბედურებას ამა სოფლისას,
მაშინ ვდგრი ცრემლებს, მაშინა ვსტირი,
მეც მაშინა მაქვს დარდი და ჭირი...

—

როდესაც მესმის ნეტარი ხმები,
სულით ლაღობენ ჩაგრული ძმები
შვებასა გრძნობენ ღარიბ-ობლები,
ხედვას იწყებენ აქამდინ ბრმები,
მაშინ ვნეტარობ, რადგან ისინი
მხიარულობენ... ვლაღობ, ვიცინი.

კოტე ქსნისპირელი

პროვინცია

ბათუმი. გენაცვალე სულის კლიტეში ნიკოლაი ანტონიჩ რომ ასეთი დარდიმანდი და კანონების მცოდნე კაცი ხარ. აბა რომელი ვაჭარი მოიგონებდა ასეთ გენიოსობას. წავიკითხეთ „Батумскія вѣст"-ში თქვენ მიერ მოთავსებული მარგალიტებით სავსე წერილი. საუცხოოა! მაგრამ ერთი ადგილი მეტად საინტერესო: —თქვენ სადღაც კანონებში აღმოგიჩენიათ, რომ თუ მაღაზიის დაკეტვის დროამდე შევა მყიდველი სავაჭროში, თქვენ უფლება არა გაქვთ დაკეტოთ სავაჭრო. ე. ი. სახელოსნოშიც თუ რამე გაქვთ გასაკეთებელი და თუთხმეტი წამით შეასწარით შიგ, უფლება გაქვთ ამუშაოთ დაქირ-მოხელე

სანამ არ ჩაგბარებს თქვენს ნივთს; თუ გინდ შვა-ღამემდეც მოუნდეს ამას. ასე იტყვით საპარიკმახე-როებზეც, რესტორანებშიც თუ კი ვინმემ საჭმე-ლის დაკვეთა მოასწრო შეუძლია იქ იჯდეს მთელი ღამე და ნელ-ნელა მიირთვას ღვინო გინდ „კოფე სლიკორომ,“ როგორც ეს ხშირათ ხთება დალოცვილ ბათუმში უსაქმო მოხეტიალე ცუდი ყოფაქცევის ქალების მოტრფიალე ვაჟბატონებისაგან. ერთი სიტყვით ყველგან და მერე იცით თქვენ ამ ცოდნით რამდენი ნახტომი გააკეთეთ? და ეს ყველა იმიტომ რომ თქვენ თქვენი მაღაზიის თავის დროზე დაუკეტაობის გამო დაგაჯარიმეს. აი სწორედ ამიტომ იხტუნეთ თქვენ ამდენი „Батумскія вѣст“-ის ფურცლებზე.

ჩვენ კი (მშრომელთა მასას) უფრო ზომიერ კაცათ მიგვაჩნდით, მაგრამ ეს ალბათ განვლილი მოძრაობის „დაღი“ იყო. დალოცვილო! დღეს სულ სხვა დროა, და აკი ამიტომაც აეხადა საიდუმლოების ფარდა თქვენს კეთილ საიმედოებას. სხვა პრინციპის მქონე ადამიანი ასე არ მოიქცეოდა, ის ასე ეტყოდა მყიდველს: „პატივცემულო მუშტარო! მაღაზია იკეტება, ხალხს მოსვენება უნდა, კეთილ ინებეთ და ხვალ შემობრძანდითო.“ აი ეს სიტყვები ძვირი ღირს. სამაგიეროთ ძნელი სათქმელია თქვენისთანა ბურჟუებისაგან რომლებიც სამსამ სართულიან სახლების აგების სურვილებით ხართ გატაცებული. თქვენის აზრით რა საჭიროა ხალხისათვის მოსვენება, ცოლ-შვილთან ალერსი, გაზეთი თეატრი, კლუბი და სხვა ასეთები და მართლაც რომ ეს საჭირო დარჩეს მაშინ თქვენ ხომ ველარ შესძლებთ „მარინსკი“ ქუჩაზე სახლების აგებას?

ეჰ ნიკოლაი ანტონიჩ რა მოკლე არშინი გქონია.

ისკანდერ.

ქუთაისი. პეტრე, არონა „ხაზირი“
გამოეწყვენ ხმალ ხანჯლითა
ვოლგა-კამის ბანკს მიადგენ
ახალ-ახალი დავთრითა,

უთხრეს ხომ იცით ამ დავთარს
ახალი ბანკი სწერია,
ჩვენ მონათ უნდა გავხადოთ
მთელი ქართველთა ერია.

გვიყურეთ აწი ბანკებმა
რა დღე მოგელისთ ყველასა,
კომიტეტები ვიქნებით
ნახავთ თქვენს ცრემლის დენასა.

როგორ გეგონათ ამბა თქვენ
რომ ამოგვარტყეთ პანღური?
ორივე გავხდით „ქართველი“
დავიწყეთ მათთან ჩანჩური.

თათარი, ფრანგი, ურია,
შევერთდით ქართველ ბანკასა,
სომხების გასაკოტრებლათ
ღმერთსა შევსწირავთ ზვარაკსა.

აქედან თბილისს გავქროლავთ
„გოლოვინსკზე“ ჩამოვხტებით
„ღადოს“ პლანი ხელთ გვიჭირავს,
ამბა ვინ რას მიგვიხდებით.

რაც რომ ცოდვები მიგვიძღვის
ქუთათურ ვაჭართ წინაშე
ყველანი დაიფარების
თუ ცოცხალი გვყავს „მენაშე“.

„მენაშე“ თბილის-ბაქოსა
გააცნობს ჩვენ თავს ყველასა
და მაშინ ყველამ გვიყუროს
რას გავაგძელებთ ენასა?

ჯერ ყველას მოგეფერებით
ჩავითრევთ ჩვენსა „პაიში“
და ოდეს ფულებს მოგვთხოვენ
მათ გავაგზავნით „პარიზში“

ვქართველდებით, გავთათრდებით,
როგორც ჩვენ რომ მოგვიხდება.
აქაც პანჩურს თუ მოგვარტყამთ.
ამითი რა წაგვიხდება.

არ შეგვაწუხებს სიწითლე
ფერი ჩვენ არ შეგვიხდება.
ოღონდ ჯიბეს ვემსახუროთ
ისე როგორც მოგვიხდება.

სადაც ქუდი ყველგან კუდიც
გამოგვიდგეს კარ ფანჯრითა
თათრულ ქართულ ბანკის პაით
შევიკაზმოთ ფარ-ხანჯლითა.

ავფრინდებით ზეცის კიდეს
ისხაკ, პეტრე არონაი
საწყალ ხალხს სულს შეუხუთავ
სულ იძახონ „ადონაი“.

ხვასტუნოვ.

გამოცანა.

ამხანაგობის სტამბაში არის ერთი ცხვირუაო,
ღვინის სარდაფს არ შორდება, ჯიბე აქვს უძიროაო,
უფროსებს ეპატიჟება ღვინოს ასმევს ჭიქითაო,
მე თქვენ ყველას მირჩევნიხართ — სხვები აქეთ-იქითაო...

ამ მანათს ეხლა დავხარჯავ, შემდეგ კიდევ სხვა იყოსო,
რასაც მოამატებინებთ ის შუაზე გაიყოსო...
ვინც ამას არ გამოიცნობს ის იქნება ბეციაო,
თუნგიანი სავსე არის, ეჰა ბიჭო ეციაო.

ხეჩო.

„მათრახის“ რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს მოაწოდონ დაბა-სოფლებიდან „საზოგადო მოდვაწეთა“ სურათები კარიკატურებისათვის. ადრესი: Тифографія Шрома, Теофилу Болквадзе

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“ მუხრანის ქ. № 12. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.